1918 წ.—№ 3 კვირა, ივნისის 28 ფასი 50 კაპ. წელიწადი მეექვსე გამოცემისა



პეტრე მელიქიშვილი
ქართული უნივერსიტეტის რექტორი.

ს კ ა ბ ი
გარდაცვალ. 3 წ. შესრულების გამო.

ივანე ჯავახიშვილი
სიბძნისმეტყველების ფაკულტ. დეკანი.

სალამი ჩვენთა ლეკვის ტაძარს!

საქართველოს თვითგაზროვნებას და სულიერ განთავისუფლებას საძირკველი ჩაეყარა. იანვრის 26 გაიღო ქართული უნივერსიტეტის კარები. ამიერიდან ყოველს ქართველს შეუძლია თავის სამშობლოშივე მიიღოს უმაღლესი განათლება. ჭეშმარიტად ეს დღე ისტორიულ დღედ ჩაითვლების. 117 წლის განმავლობაში შეჩერებული ჩვენი მშობლიური განათლების კერა კვლავ იწყებს ბრწყინვას განახლებულ ძალებით. მან უნდა მოგვაგონოს გონებრივ სულიერი სიმაღლე საკუთარი თავის რწმენა, სამშობლო ქვეყნის და მსოფლიოს სიყვარული.

გზა! გზა ფართო ჩვენის ნატვრის ერთ გამოხატულებათაგანს!

მის სალამი ჩვენის გაახლების ტაძარს, სალამი მის მესვეურ დამფუძნებელთ, სალამი ჩვენს მეცნიერს ივ. ჯავახიშვილს და მის დანამაღვაწეთ, რომელთაც საძირკველი ჩაუყარა ამ ტაძარს!

მთელი ქართველობის ვალია ყოველის ღონისძიებით გაამკვიდროს ქართული უნივერსიტეტის კედლები, რომ მას შიგან ოკუნის უკუნისამდე ღვიოდეს ცეცხლ-უქრობელი ქართლოსიანთა გათოშილ გულის გასათბობად.

თვითმანვითარება მეჭირია

ხმა უდაბნოშია, ხომ გაგიგონიათ: წინასწარმეტყველი ჰქადაგებდა, შეუგნებელ ბრბოს კი მისი ცეცხლოვანი სიტყვა გულს ვერა სწვავდა.

ყრუ იყო განუვითარებელი, ბნელ-ჩაფლული, წყვდიადმოცული ბრბო და გულისყური დახშული ჰქონდა: სიტყვა ესმოდა აზრი კი ვერა!

სწორედ ასეთს მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ქვეყანა.

ჩვენი ხალხის ერთს მცირე ნაწილს თუ მხოლოდ გაუკულმართებულ გეგმით ასწავლიდენ, მეორეს მუდმივ სიბნელეში ამყოფებდენ და მხოლოდ უცხო კერპებს ალოცებდნენ... ამან ჩაუხშო ხალხს საკუთარ თავის რწმენა, საზოგადოებრივ-მამულიშვილური მისწრაფება...

რუსის ჯარში მსახურებამ ყველი სოფლის შვილთა ერთი ნაწილი თუ გამოჩორკნა, დიდი ნაწილი ნამდვილ რუსულ-სალდათურ სულით გაჟღინთა.

მიმოიხედეთ ჩვენს დაბა-სოფლებსა და ქალაქებში, რასა სჩადიან ჩვენი სოფლის თავზე ხელ აღებული შვილები!

და უმთავრესად კი იმიტომ, რომ კულტურულად ჩამორჩენილები ვართ, ხალხს ხშირად ტყუილი მართლისგან ვერ გაურჩევია, თეთრი შავისგან!

ჩვენი ჟურნალ გაზეთობა უმთავრესად პოლიტიკურ საკითხებითაა გატაცებული ხალხი ვითომდა „შეგნებული" ნაწილი ამა თუ იმ პარტიის მიმდევარი, პოლიტიკანობით და ჩვენი სამშობლოს დიდი ნაწილი კი — ამყოლს ასდევს, დამყოლს დასდევს, საკუთარ გარკვეულ რწმენა უქონელი!..

და როდესაც ასე ბნელია სოფლად, თ თქმის არსად კულტურული მუშაობა არაა გაჩაღებული: ზოგან ფორმის გულისათვის თუ აქვთ წიგნთ — საკავ — სამკითხველო დაარსებული, რომელსაც მკითხველი არა ჰყავს. ან ვინ წაიკითხავს, რომ სოფელმა კითხვა არ იცის, ზოგან სკოლა აქვთ მასწავლებელს მშიერს კლავენ, ზოგან ვითომ წარმოდგენას მართვენ ისიც არა ხალხის კულტურულად აღსაზრდელად, არამედ — თავის შესაქცევად.

ერგვლივ ბნელა!..

დღევანდელი განაცდელი ყველა მამულიშვილს, ყველა დემოკრატს, ხალხის ყველა ერთგულ შვილს ავალებს, დაბა —სოფლად მოაწყოს უპარტიო საგანმანათლებელო წრეები, გახსნას სამკითხველოები, შეადგინოს სცენის მოყვარეთა დასნი, მართოს წარმოდგენებ., სახალხო კითხვები და ხალხს სისტემატიურად უკითხოს გონების განმავითარებელი და ზნეობის გამფაქიზებელი ნაწარმოებნი: აქპარტიული ჟინიანობა, ურთიერთისგან განკერძოება უარყოფილ უნდა იქმნას და ყველა ჩვენთაგანი უნდა ცდილობდეს უპირველეს ყოვლისა კაცი აღამაღლოს, გაადამიანოს!..



თარი

მიყვარს თარი, გულსაკლავად მკვნესარი,
მწუხარების უკუმყრელი ეს არი:
სიმები რო დაიწყებს ყღერასა,
სული შფოთავს, გული შეიქმს ძგერასა.

აკაკი

თარი ადმოსავლეთური საკრავია. მის სამშობლოთ ადერბეიჯანი უნდა ჩაითვალოს. ამიტომ კავკასიის ზოგიერთ ერთა შორის ეს სიმუსიკო იარაღი გავრცელებულია.

ჩვენ აქ მის აღწერას არ შეუდგებით, რადგან იგი ჩვენი საზოგადოებისთვის კარგათ ცნობილია, მხოლოდ ვგონიშნავთ იმას, რომ მისი მთავარი განსხვავება ევროპიულ საკრავთან გამოისატება დიაფრაგმის მნიშვნელობაში. თუ ევროპიული საკრავის სიმთა ყღერა რეზონანსით იითარდება, თარის და სხვა უველა აღმოსავლეთურ საკრავების. ასეთივე ყღერა დიაფრაგმის საშუალებით ვითარდება. ეს განსხვავება ტეხნიკურე თვალსაზრისით მეტად საუცხოოა. კრამაფონის მემბრანუც დიაფრაგმის პრინციპზეა აგებული და ამიტომ იგი მეტად საუცხოო და ორიგინალური საკრავია. კრამაფონში რეზონანსი (ტრუბა) ანვითარებს დიაფრაგმის ანუ მემბრანუსგან შექმნილ ატმოსფერის ტალღათა ნასახს და ხმოვანებას სინამდვილეთ გადმოგვტემს. ეი დირსება დიაფრაგმისა.

ასეთსავე დიაფრაგმას ჩვენ ვხედავთ თარის შუადგენლობის ნაწილზე, რომელზედაც არის რაბეჭდილი სიმების გადასაჭიმი ჯორა. თვით ჯორასა და დიაფრაგმის ქვეშ მომწყვდეულია ჰაერი, რომელიც თავის დრეკადობით ისე აქანავებს დიაფრაგმას, რომ ჩვენ გვიდგება სიმთა ყღერას სმოვანების მრავალი ფერებით. ამიტომ იტყვიან ხოლმე: თარი დაბერჩყობ და არა უკრავსო. ეი დირსება დიაფრაგმის და ადმოსავლეთის მუსიკისა.

თუ დღეს ევროპიული უსიკა დაწინაურებულია, ეს იმიტომ რომ იგი ტეხნიკურად უადრესათ განვითარებულია და მისი დამტვეელი და მადარგებელი ევროპის კულტუროსანი ერია. მისი განვითარების საფუძველი რეზონანსია. ადმოსავლეთის საკრავები კი განვითარების პირველ საფეხურს განიცდის და რადგან მისი შექმნელი ერი ჩამორჩენილია კულტურულად, მიტომ ჯერ-ჯერობით იგი არ არის განვითარებული. თუ ევროპიული საკრავების რეზონანსის მოხერხებული მოწყობილებით თვალსაჩინო ადგილს იჭერენ ხელოვნებაში, რა იქნება მოსავალში ადმოსავლეთის საკრავები, რომელთაც დიაფრაგმის საფუძველზე მათ დაემატებათ რეზონანსის ტეხნიკური მოხერხებული მოწყობილება? რა თქმა უნდა, იგი ისეთივე ორიგინალური და მნიშვნელოვანი იქნება, როგორც ასეთივე შეერთებული დიაფრაგმა-რეზონანსი კრამაფონისა. მხოლოდ ეს იქნება მიღწეული მაშინ, როდესაც ადმოსავლეთის ნაციონალური კულტურა უადრესათ განვითარდება თვისი შემოქმედებით. დღეს-კი იგი თუ ჩამორჩენილია ევინინო-ფორტეპიანოს ჩემის რწმენით სამაგიეროთ სჯობიან გიტარა-მანდოლინას რომლის ხმის ერთ-ფეროვანება ჩქარა მოსწყენია ხდება ხელოვანისთვისაც, თარი, ჭიანური და სხვა-კი ასეთ ერთ-ფეროვან ხმას მოკლებულია, რადგან დიაფრაგმა იმდენათ გრძნობიარეა, რომ ჰაერი გაღვენას ახდენს და ეს კი მოქმედობს ხმის ტონის ცვალებადობაზედ. ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ გადაგვარებულთ, რომელნიც გვირჩევენ რომ ხსენებული აღმოსავლეთის საკრავები ჩვენ არეთის ჩავაბარონ. ვირ-იქით: ჩვენ ურჩევთ ბოუვარულ ასადგარზდობას დ'იცვან მამა-ბაბური გემოვნება ხსენებული მუსიეით, რომლის განვითარება ჩვენ მოგვცემს ერთვნულ თავისებურებას და გადაგვარების გან თავდაცვის ტრადიციას.

მუშა მიხ. დევაძე

მსახიობი პ. ფრანგიშვილი
ავადმყოფობის მიზეზით სამხედრო სა[illegible]სახურიდან დათ[illegible]ბოვნილი სამის თვით.

ყველა ერთი მიზნისაკენ!

ამბობენ, ძველად ბერძენთა სატახტო ქალაქს გარედან მტერი რო მოადგა, შიგნით, იმის მაგიერ რომ ყველა შეთანხმებულიყო და მტერს წინ აღსდგოდა ბერძენნი ერთმანეთში კამათობდენ: კვერცხი ადრე გაჩნდა თუ ქათამიო.

ამასობაში მტერმა ქალაქი აიღო, ბერძენთა-კი მაინც ვერ გაიკვლიეს—კვერცხი ადრე გაჩნდა თუ ქათამი

სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს დღეანდელი ჩვენი ცხოვრების სინამდვილე.

დიდი რუსეთი დაირღვა, რუსეთში იძულებით მომწყვდეულმა ერებმა თავის კერას მიხედეს—საკუთარ ქვეყნის მართველობის საბე ხელთ იგდეს ჩვენ-კი იმ კვერცხისა და ქათმის ახდახას ვუტრიალებთ ირგვლივ: აცა ჩვენი პარტიული ლოზუნგები არ დავჩრდილოთო ერთსა და იმავე ადგილს ვსტკეპნით—გვგონია წინ მივალთ და სიტყვათა კორიანტელში ვკარგავთ დროსა!..

და ასე—საკუთარ პარტიულ ლოზუნგებით აღტურვილნი—ერთმანეთს არაფერში ვერწმუნებით...

ჩვენს ქვეყანას-კი საფრთხე თან და თან ჰფლობს

არევ დარევა, სიმშილი, შიგნით ბნელ ძალ თ[illegible]თარეში, გარედან მტრის შემოსევის შიში... არსად კანონი, არსად სამართალი, რომელსაც ყველა პატივ სა[illegible]ცემდეს და ემორჩილებოდეს... ყველა თავისებურად მოსამართლეობს და... ხალხი ჰკვნესს, ხალხი გმინავს.

ყველა ამას ბოლო უნდა მიეცეს...

რევოლიუციონურ ხანის ამდენიხხის ნაყე-ნაყე ლამის უქმად დასამარდეს, ლამის დიდი რევოლიუციის დიდი მცნებანი საქმედ ვერ ვაქციოდ ყველას საბედნიეროდ...

დროა ჩვენც—სხვათა მსგავსათ საკუთარი ქვეყნის მართალი მმართველ-პატრონი შევიქნეთ, საქართველომ თავის თვითარსებობა თავისუფლება გამოაცხადოს, და საკუთარი ძალ-ღონით გაუძღვეს საკუთარ ცხოვრებას. ამას-კი შესძლებს, როგორც არა ერთხელ თქმულა, საქართველოს დამფუძნებელ კრების დროით შეკრება, რომელიც ქვეყანას გაუჩენს კანონს, სამართალს და პატრონს.

ნუ თუ ჩვენც იმ დროს უნდა ვუცადოთ, როცა ველარც საქართველოს დამფუძნებელი კრების შეკრება შეგვეძლება—ან შევკრებთ და გაგვიფანტავენ?...

საქართველო უნდა აღსდგეს სრულის თვისის უფლება-მოსილებით და თანასწორი ძმა შეიქნეს ყველ ერთა! და ყველა ეს მაშინ შეიძლება, როდესაც ყველა ერთი მიზნისაკენ მივმართავენ ყოველ ჩვენს ძალღონეს: მრავალ ღმერთის მაგიერ ერთს ღმერთს-სამშობლოს ვიწამებთ. ვიდრე საქართველოს დამფუძნებელი კრება შეიკრიბებოდეს, უკვე შემდგარმა ქართველთა ჯარმა უნდა გამოიჩინოს დიდი მოქალაქეობა და მამულიშვილობა, დაიცვას წესიერება და მცხოვრებნი ყოველ მოსალოდნელ წიფათისგან. სამშობლო, დემოკრატიის მომავალი და რევალიუციის გამარჯვება საშიშ მდგომარეობაშია.

დროა ჩვენმა გავლენიანმა პარტიებმა პარტიულ გავლენიან მოღვაწეთაგან შეადგინონ შეთანხმებული კომისიები. ყველა პარტიების მონაწილეობით მოვლონ საქართველოს მთავარი დაბა-ქალაქ-სოფლები და ხალხს მოუწოდონ შეთანხმებულ მუშაობისკენ, ყველა ცოცხალი ძალები საქმეში ჩაბან პარტიულობის განურჩევლად და ხალხს აცნობონ, რომ ჩვენს დედაქალაქში უკვე მოხდა პარტიათა შეთანხმება, საჭიროა ასევე მოხდეს დაბა ქალაქად, რომ ამიერიდგან საქართველო ერთია და ერთი მიზნისაკენ მიისწრაფის: შექმნას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა...

მოქალაქენო, საქართველოს ერთგულნო შვილნო სოფლის მუშა მშრომელნო, ჩვენი სამშობლო უდიდეს განსაცდელშია. ის გეძახით საშველად. ნუ თუ დედის მოწოდებას ყურად არ იღებთ.

ნიაღვარი წალეკვას გვიპირებს და ნუ თუ საერთო ძალღონით არ ვეცდებით საფრთხის თავიდგან აცილებას!..

იოსებ იმედაშვილი.

*
* *

უჰ, რა რიგ ბნელია, სად არის მთვარე?!
ლამის გუშაგი, ის მოელვარე?!

ახ, შეხეთ მაღლა, შავი ღრუბელი
გადაჰღობია, მისთვის არს ბნელი...

ჰე, ღრუბელთ გუნდი, ჩამოეცალა,
განათლდა ირგვლივ, ჩვენშია ძალა!..

ერეკლე ყანჩელი.

ვანო (ივანე) მისამლისაძე გომელაური

(თბილისის გუბ. სახალხო სკოლების ინსპექტორათ მიწვევის გამო.)

ამ დღეებში ქ. ზეათურას მოსტიდდა ერთ-ერთ შესანიშნავი მუშაკი-მასწავლებელი ვ. გომელაური. ვინც კი იცნობს ვანოს, უსათუოდ დარწმუნებული იქნება, თუ რა ბერიროვნებაა და რამდენი ღვაწლი მიუძღვის მას ქართველ საზოგადოების წინაშე. ვისაც კი ქართული კითხვა უსწავლია, უეჭველია იცნობს „ქართველ მწერლებს.“ სწორეთ ვ. გომელაურის შრომის ნაყოფია ეს წიგნი. ცამეტი წლის ჭეათურაში ყოფნის დროს მან დაიმსახურა უსაზღვრო სიყვარული აქაურ საზოგადოებისაკენ. ყოველი მისი მოწოდება ადტაცებით იგონებს მასთან გატარებულ დროს და მის ადამიანურ დარიგებას.

ვ. გომელაური

ჯერ ახალგაზდა, სულ 50 წლისა იქნება, ბულსაწყვეტი მისი ვრცელი ბიოგრაფია არ მოიბოვება, მტირულ ცნობათა. გარდა ის შეიდია მშვენიერი თავისუფალი კახეთისა (ქიზიყისა), მაგრამ ბატარა ბიჭობის კარდა მას იქ ყოფნა ვერ მოუსდა. ანბანი ასწავლეს სახლში და უფროსმა ძმამ ჩამოიყვანა სიღნაღს და სამოქ. სასწავ. მისცა. რის გათავების შემდეგ შეიდა სოფლტოინსტიტუტში, რომელიც ჩინებულათ დაამთავრა. მისი საყვარელი ხელობა მასწავლებლობაა, რომელშიაც ატარებს მთელ დროს უმთავრესად კი ქუთ. გუბ. უკანასკნელ დროს ზეათურაში, სამოქ. სასწავ. გაოცებით უყვარს მშობელი ენა და ძლიერად აქვს შეთვისებული, რისთვისაც ბაბარეს მას ეს საგანი ყველა კლასებში სასწავლებლათ. უაღრესად განმსჯელული კეთილისა და ადამიანურის აზრებით შეყრამ იმის ტდაში იყო, ჩაენერგა მოზარდ თაობისათვის ადამიანობა და სიყვარული სამშობლოსი და მშობელი ენის. მისი შენიშვნა მოწოდის ტუდ ეოფა ქტევაზე ეოველთვის ორი სიტყვა იყო. „ადამიანი ვერ გახდები!“ და ძნელათ თუ იქნებოდა ისეთი უგნეური მოწოფე რომ არ მოგნადირებია მის სიტყვებსა და რჩევა დარიგებას. შესვენებაზე გარშემოსვეული იყო მოწოფეებით და ყველას აძლევდა პასუხს კითხვებზე. ძნელად იხოვნიდით იმისთანა დროს, რომ მის ხელში არ გენახათ ქართ. წიგნი ან ყურნალი. ყოველდა ქართული ენა და არ ზოგავდა მისთვის უკანასკნელ ძალ-ღონეს, მაგრამ უკულმართ თვით მშერობელობის დროს რის უნდა გამხდარიყვენ ვ. გომელაური და სულ თითზე ჩამოსათვლელი ვანოსთანები თავისი ბრძოლით, ყურნალ-გაზეთებშიაც იღებდა ვანო მონაწილეობას: სწერდა მხოლოთ მოთხრობებს. უყვარდა თეატრიცა დასხლოებით იცნობდა დრამატიულ საქმეს, იყო მისი წევრი, ბევრჯერ ღებულობდა მასში მონაწილეობას და ჩინებულათაც ასრულებდა თავის როლებს.

ბრწყინვალე ხანის დადგომით თბილისის გუბ. სახალხო მასწ. უფროობამ ერთხმად წამოაყენა მისი კანდიდატურა სახალხო სკოლებ. ინსპექტორობაზე რეტდაც იქნა ის მიწვეული ტოტა ხნის შემდეგ.

ოქტომბ. დასტოვა მან ზეათურა ქართ. საზოგ. და საყვარელმა მოწაფეებმა თვალცრემლიანმა გაცილა იგი. არც აღმოიფხვრება მათ გულში საამულამოთ ვანოსადმი სიყვარული.

იმედს გამოვსთქვამ ძვირფასო მასწავლებელო ალბ უფრო ენერგიით მოკიდებით ხელს ქართულ საქმეს ამ იმედით, რომ ხელსშეგიწყობს დიადი თავისუფლება. არ ჩაქრება შენდამი სიყვარული ჩვენს გულში არასოდეს. და უსურვებ საშშობლოსა და მშობელ ერს, მრავალთა წარმოშონ შენისთანა მასწავლებლები, საშშობლოსა და ქართველ ერის ასაყვავებლათ.

ივ. ტყემლაძე.

კინტო და რევოლიუცია

ვაჰ, ეს რა დრო დაგვიდგა ხალხნო და! პოლიციაში პრისტავის მაგივრად ჩვენი სირაჯის სარჭისას შვილი კამისრათ ზის. არ ივოს არ იყოს ერთი ორმოცჯერ მაინც მეყოლება ნაცემი. რა არის მოაგონდეს და სულ ერთად იყაროს ჯავრი! აბა სეირი მაშინ იქნება ჭა-— არა და! გარადოვები და აკალოშნიკები თითქოს ცოცხით დაგავესო,—არც ერთი აღარ დააყენეს. მამიჩემის საქულას საფლავიდგან წამოდგომა ისე არ გამეხარდებოდა, როგორც ამათი ზურგში ჟელეტის მობმა. პოლიციაა! ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ისევ დააბრუნონ, ჩვენი უბნის პრისტავი და ივანა გარადავოი სულ ცოტა... სულ ცოტა ორას თუმნამდე მიდირს. განა რას ვიგებდი და!!. ერთი ტაჩკა მწვანილი და ამოდენა ქრთამი?! ლლა-ოხტურ შე პირიდან დაქოქილო!.. ჩემი უჩასტკაში თრევა სულ იმაზე იყო, რომ ხმა მაღლა ნუ ყვირი (მდერით) კაპუსტი და კაპუსტი... კარტოშკითი!. ლუკ ზელიონი. ლუკ ზელიონი. მარკოვი და ტარხუნაა!.. არა და ეშხში შევიდოდი თუ არა და რომ დავიძახებდი: ქალბატონო ისეთი ქორფა შუშა კიტრი მოვიტანია.. მთლიანათ საყლაპავი! პუპლუზ! ის სახე გაქონილი ივანა გოროდოვი ცხვირწინ ამეტუზებოდა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო:

ნუ შტო! აპიატ არიოშ კაკ ეშაკო!

და წამათრევდა პოლიციაში... გიყვარდეს ვარდო! გალესე თუმნიანი. მერე ის დაქოქილი პრნსტავი, სიცილით გამომისტუმრებდა, ნუ ვარდო იდი აპიატ კრიჩი კაკ ეშაკო. ამიოხრებს ვა, ძლივს არ მოვისვენე?,

ეხლა,..

გინდა ვირივიდ იყვირე გინდა გიჟი კამეჩივით ირბინე-. ხმას ვინ გაგცემს.. სლაბოდნობაა:

ერთი მეკითხება, რა მილეთის პარტიას კაცი ხარო? ვა, გიჟივით გამეცინა. პარტიას მე ბილიარდზე ვიგებ მეთქი, მე რა ვიცი რომელი პარტიისა ვარ მეთქი. შემომიბღვირა შენ ამხანაგო, ჯერ გასათლელი ყოფილხარო. მე უთხარი: კაცო ცულის ტარი ხომ არა ვარ რომ გამთალო მეთქი! გამიფხუკიანდა და ძოამაძახა: რეგვენი ხარ, და რა გელაპარაკოვთ, და წავიდა. ვა, ისეთი ჯავრი მომივიდა, რომ მინდოდა ის სერი ცილინდრს ზედ თავზე გადამეხია, მაგრამ შემეშინდა. ამობენ ამათ ხალხის პოლიციაში თუ ჩავარდი, წითელ-თუმნიანი ვერ გიშველის და ოთუზ-ბირი დაგიჯდებაო.

ერთხელა ვთქვი, მოდი რახან ეს პარტიობაა მოდაში, მეც წავალ და ჩავეწერები, მეც ჩლენს დამიძახებენ მეთქი. ავდექი და წავედი ნახ.ლოვკაში. დიდი მიტინგობა იყო.., ვა! მე რომ იქ ამბავი ვნახე, ვინ პირძალლი, ჩლენათ კი არა, ჟალოვნა, რომ დამინიშნონ სათოფეთ არ მივეკარები. არა და! მოგროვილა ხალხი. ჯერ ერთი ავიდა მაღლა სტოლზე იქადგა.. მერე მეორე, მესამე მერე სხვა მხრიდან გამოვიდნენ. ახლა იმათ ილაპარაკეს. იმ წინანდელებს ალბათ ჭკუაში არ დაუჯდათ ძირსო, დაუძახეს. ისინი არ ჩამოაიდნენ. ესენი მისცვივდნენ და ძალათ ჩამოათრიეს. მოუვიდათ ჩხუბი, ერთმანეთს წითელი ბაირაღები დაუხიეს... ის იყო კინაღამ ავლაბრული კრივი არ გაჩაღდა... არა და სულ კი ჩვენი ქართველები იყვნენ... ვიძახი. შე მუდრეგო, შენა ლაპარაკობ, გაუშვი მეორემაც ილაპარაკოს, ლაპარაკის მონოპოლია ხომ არა გაქს და!? მას აქეთ დავწყევლე, პარტი-მარტია ჩემ დავთარში არ ჩავწერო. ისევ ჩემი ტაჩკა დალოცოს ღმერთმა. დღეს მოვიგებ დღეს შედღეს შევეპამ, ხვალ მოვიგეფ ხვალ შევეპამ აფსუს ჩემო მდერის კაპუსტი და კაპუსტი, კარტოშკი და კარტოშკიიი!... წავიდეთ ეხლა ხვალისათვის კარგი დარფა მწვანილი მოვამზადო. ყვირილი ხომ მოდაშია!.. მდერით გადის. ქალბატონო! შუშა კიტრი გაპამო, რომ მადაზედ მოხვიდე!...

სანდრო ბაქრაძე.

ძლივს მაგეყარე...

(ელენე ბ—დან)

დიდის ტანჯვითა ძლივს გაგშორდი ძლივს გაგეყარე...
წყევლა კრულვითა გადვივიწყე შენი სახელი,
ვამეტყველე ჩემი ბაგე, ბაგე მდუმარე,
ლივს მოვიწმინდე მე თვალთაგან ცრემლები მწველი...
შენ კვლავ მომდევდი, მათრახებით მემუქრებოდ,
ამ დასამონად არ იცოდი რა მოგეგონა;
ს იდეალებს, ჩემს მიზანსა მარად ჟამს ჰგმობდი,
ჩე უფალი შენ იყავი მე შენი მონა...
ე ვისწრაფოდი ზეცისაკენ, სიწმინდის ქვეყნად,
თავს ანებებდი ამ კრულს მაცდურს წუთისოფელსა,
შენ მიწის შვილი ვნებით სავსე ბრიყვად, უხეშად
ფეხქვეშ სთელავდი ჩემსა ხატსა, ჩემს სანატრელსა.
ოჰ! მაგრამ არა, მეყო, კმარა, არ შემიძლიან
კვლავ ბორკილების ჩ არაჩხური და ზიდვა ჯვარის,
დე, დავიღუპო შეუგნებელ ბრიყვთ უდაბნოში,
რომ აღარ ვიქცე შენს მონადა, მონად მზაკვარის.
დე, დავიღუპო მარტოდ მარტო, უსიყვარულოდ,
რაკი რომა ვარ ჩემი თავის მეფე, უფალი,
ოჰ! რომ ცოდე რა სიხარულს განიცდი ოდეს
სიცოცხლეშიც და საფლავშიც ხარ თავისუფალი..

ალ. ნეკრეკი

სახალხო მუშაკ-მწერალნი

ვარდენ გიორგისძე ყიფიანი

(30 წ. სამწიგნობრო და სახალხო მუშაკობის გამო)

არიან მუშაკნი, რომელნიც სხვა და სხვა გარემოების გამო ფრთებს ფართოდ ვერა შლის, მაგრამ ყოველ ჟამს სამშობლო ქვეყნის დაწინაურებას და ხალხის გათვითცნობიერებას შესტრფიან.

ერთი მათგანია ვარდენ ყიფიანი—ღვანკითელი. ვარდენი—რკინის გზის მოსამსახურეთა მხრით სიტყვის მოქმელი დამსახურებულ მოღვაწის იუბილეიზე, თუ გამოჩენილ მიცვალებულზე, ვარდენი—რკ. გზის მოსამსახურეთა შორის ქართულ წიგნებისა და ჟურნალების მომფენი, მამულიშვილურ—ხალხოსნურ იდეების გამავრცელებელი, ვარდენი—სამშობლოისა და მის მოღვაწეთა მეხოტბე, ვითარცა დამტირებელი და შემაქები. განსვენებულ დიმიტრი ყიფანის ვერაგულათ მოკვლის—1887 წ დროიდან არა ყოფილა ცოტად თუ ბევრად საზეიმო ანუ სამგლოვიარო თვალსაჩინო შემთხვევა, რომ ვარდენს მონაწილეობა არ მიეღოს.

პირველი ლექსი ,,ქართველი დედის ნანინა'' დაბეჭდა გ. წერეთლის კვალში 1893 წ. და მას შემდეგ დრო გამოშვებით ათავსებდა სხვა და სხვა ჟურნალ გაზეთებში ანუ ალმანახ კალენდრებში ლექსებს, შარადებს, ეპიგრამებს, დამაკვირდებს და სხ.

ვარდენს სხვა და სხვა დროს დაბეჭდილ გამოქვეყნებულ ლექსებს გარდა, ბევრი დაუბეჭდავი ნაწარმოები აქვს, სხვათა შორის, სამ მოქმედებიანი დრამა ,, დავით ბატონიშვილი'' პიესაში გამოყვანილია ის დავით ბატონიშვილი, რომელიც რუსებმა მოჰკლეს სოფელ ღვანკითში. ვარდენი შუახნის კაცია (დაიბადა 1869 წ) და ჯერაც ბეჯითად განაგრძობს ქართული მწერლობისა და მამულიშვილურ ხალხოსნურ იდეათა გავრცელებას. ვუსურვოთ მხნეობა. ი. ა—ი

სონეტი

რა საამოა, როცა გული სევდას სცილდება,
რა რომაძულებს მეოცნებეს იისფერ ფიქრებს?
მივყვებ-მოვყვები ისე, როგორც მშობელი შვილებს,
ვიდრე ჩემი დღეც მაყვლის ფერად დაიჩრდილება.

მახსოვს: მეწვია და გადმომცა ვარდ-ყვავილები.
როგორ ვუმადლ იმ მშვენიერს, ნობათის მომტანს:
ორი ნაწნავი ემხიანად ეყარა ნორჩ ტანს,
ცრემლის გუბეში ბანაობდენ მთვრალი თვალები.

გზას მილობავდა მარმარილოს თეთრი მკლავებით,
ჩემსკენ იწევდა აღგზნებული ალური ვნებით...
ბედნიერებას მპირდებოდენ ტრფობის წუთები..

და მეც დავიწვი მოციმციმე სატრფოს თვალებით,
ვით ბალჩის ვარდი ალაბეთის მზის ბრწყინვალებით
როს საკოცნელად მომხიბლავის თრთოდენ ტუჩები...

ქნარი

ანასტასია [ტასო] ალექ. მაჩაბლისა
გარდაცვალებიდან 6 თვ. შესრულების გამო

ეგ. სოლ, აშხაზავა

მიმდინარე ომში ავსტრიის საზღვარზე მრავალგზის დაჯილდოებული. ოთხჯერ დაჭრილი. ამ რავდენიმე კვირის წინად თავის რაზმით თბილის ჩამოვიდა. იანვრის პირველს რიცხვებში ჯავშნიან მატარებლით გაემგზავრა შამქორს, სადაც ეშელონთა იარაღის აყრის დროს მოჰკლეს იანვრის 10. მის მოკვლის შემდეგ თათრები დავრჩენენ მომავალ ეშლონებს და მრავალი (1050) მოკლეს.

გრ. ჩარკვიანი თავის თანამშრომლებით
[მისი კედ. კალენდრის გამოც. 30 წ. შეს. გამო]
1, პატრი რაფიელ ნებიერიძე, 2, მაკარ ჩიმშკიანი—სომხურ კალენდრის შემდგენელი, 3, ანუნდი მაჰმედ-ჰასან მოვლა-ზადე, 4, ებრაელთა ხალამი მონათლაშვილი, 5, გრიგოლ ჩარკვიანი.

ქუთაისის დრამატიულ დასის მსახიობთა ჯგუფი

რომელიც დრამ. სახ-ის დასს ჩამოშორდა, რადგან ქუთაისის დრამ. სახ-ბამ არ შეიწყნარა მსახიბთა კავშირის დადგენილება. ამ დასს განუზრახავს იმოგზაუროს წარმოდგენების გასამართავად. აქ არიან: შ. ღამბაშიძე, ა. ლოლუა, ა. ჩხეიძე, დ. ძნელაძე ი. ბარველი, შ. ჯაფარიძე, მ. გელოვანი, ა. კავთელი, გ. ფრონისპირელი, ზ. გომელაური.

ქ ო რ წ ი ლ ი

გაგრძელ. იხ. „თ. ც.“ — № 2

მარიამ (შორიდან, სმა-იდუმალიგით)

არა, არა,
ცრემლი კმარა, —
მოჰფრენს შენი შვილარდენი,
რომ დაგიხსნას,
ბედი გახსნას
დაგიჩვენოს აწ სხვა დღენი! *)

4

ნათელა და მარიამი

ნათელა შენ ხარ ჩემო კუდრაჭა,
კეთილ სულად ხმობილო!..
მწუხარებით ხეშეკმნილვარ,
ჩემო სულო — დობილო!
რწმენა გამიორკოფდა:
მჯერა კიდეც, არც მჯერა:
ვაჰ, თუ უკუ მიიქცეს
ჩემი ყოფნის სვე — წერა!

მარიამი (გაიკისკისებს)

ღრმა სიყვარულს თან ახლავს,
მუდამ ეჭვიანობა:
ვინცა ვისსა გულსა ჰფლობს,
მას არსებაც ეშყნობა...
ყური მიგდე მოგითხრობ
ანბავს ძველსა ზღაპრულსა,
თუ ვითარის წადილით
მიჯნურობა ჰფლობს გულსა:
მთვარემან მზე შეიყვარა,
მზემან სხივნი მიაყარა,
ერთურთს სდევენ სალაღობოდ
ორივ ერთურთს მიეფარა, —
სიყვარული კი აქვთ დიდი,
ზესკნელ-ქვესკნელ განაკიდი
თუ ერთს დაჰხშობ, მეორესაც
ღღე მოელის არა დიდი...
მთვარეს შუქი, სხივოსნება
მხოლოდ მზისგან ეფინება;
წყაროს წყალი მომჩქეფარე
სათავიდან ედინება,
ხე თვის გვარსა ენამყნება,
ჩიტი — ბუდეს ეტანება
რა გინდ იყოს მზე მწველ-ცხარე,
წვეთი ნაგუბს ეჭანება.
ფუტკარს სკაში ელხინება,
ყაჭის ჭიას ეფინება
თვისგან ქმნილი გარს საზარე, —
ეს ბუნების არის ნება. —

*) ეს ერთი ცაეპი წინა ნომერში შეცდომით წავიდა, მიტომ აქ ვიმეორებთ. რედ.

და რათ ფიქრობ: ბუნების რტოს
რო მიჯნური დაგტოვს მარტოს?
ვიცი მაგის სურვილ-ნება,
შენია და შენთვის ბნდება!
რა გინდ ბევრიც ამ-ვა მწარე-
მითაც შენ არ გაგშორდება...
მო, მუშებთან მიგალხინო,
დასთმე ფიქრი გულ-საწყინო!..
(ბოდისკენ გაიგდიან.

5

სიდონია და არამ (ლაპარაკით შემოდიან)

სიდონია მობრძანდი, არამ ხუნიანც,
აქვე ვსთქვათ ჩვენი სათქმელი,
მიხვევ-მოხვევა არ მიყვარს,
ღმერთია ამის მსაჯველი,
პატარა იყავ, მამაშანს
გირაოდ მივეც მამული,
თუმც იყო უცხო ტომისა,
ოჯახის გახდა ის გული.
ბევრჯერ თუ ფულს ვერ ვაძლევდ,
ნათავნს ვაკეცდი თავნზედა,
ბლომად წაიღო ჩემგანა,—
ალალი იყოს მასზედ!
ვცხოვრობდით მეგობრულადა,
ქეიფითა და ლხინითა,
მამულს „ტორგში" არ უშვებდა
ღუფულობით ან ჟინითა! (წამოსხდ.)
ისევ მე ვიყავ ბატონი
მამულის შემოსავლისა,
მოსავალს ხელს არ მიხლებდა,
ფიქრი არ მქონდა ხალხსა.
შენ კი რა მოგდის, არამო?

არამ მითქვამს და ვიტყვი კიდევა:
ვინც ვალს გადიხდის ვადაზე,
ის ერთი ორად იძლევა.
მეც ერთი საქმის კაცი ვარ,
დღეს ვცოცხლობ, ხვალე მოვკვდები
თუ ერთ საქმეს ვერ მოვრჩები,
მეორეზე ვერ დავსდგები!
კარგა ხანია ვითმინე..
ვიყავი მუდამ ტკბილადა,
ახლა ან ფული მომეცით,
ანუ მიმიღეთ შვილადა!..
(რუს-გენერალი მოპარვით შემოვა
და ხელოვნიტუზეა მოფარებით)

სიდონია შვილი არა ხარ, მა რა ხარ?

არამი ჩემი შეიქნეს ნათელა.

სიდონია ეს რომ ვერ მოხდეს, არა ქნას?

არამი მით გათავდება სუყველა:
სამჯერ დაჭკრავენ ჩაქუჩსა.
სხვა ვერვინ შემეცილება,
კანონიერად ლამრჩება,
ველარ მოხდება ცვლილება.

6

იგინივე და **რუს-გენერალი**

რუს-გენერალი (წინ წამოდგება, გადმოსძახებს)
სწორედ მე შეგსცილები.
ჩემი რძალია ნათელა.
ეყო მის დედულ-მამულსა,
რაც სლმხის ფეხმა გათელა!

არამი მე ჩემი ფული მომეცით,
და სხვას დავეძებ არსა!

რუს-გენერ. ფულს არა, შავ ქვას მისცემენ
შენებრივ წარა-მარასა!

სიდონია ვაჰ, ჩემო დიდო ოჯახო,
გაბრუნვენ როგორც ჯარასა!...

არამი რისათვის მლანძღავ ბატონო,
თქვენი რა მმართებს ბეგარა?...

რუს-გენერ. გეყო, რაც ოფოლ-ოხრისა
მამული საქმლად გებარა!

არამი ყველა ყველასა ნეტავი,
რას მედავები შორიდან?

რუს-გენ. შორეულია შენ ჰბედავ,
გადმოთრეულო ცხრა მთიდან!
ჩვენა ვართ ერთი სჯულისა,
შენა ხარ გრიგორიანი,
ჩემგან მას ჰქონდა დაფარვა,
შენგან კი მხოლოდ ზიანი!..

სიდონია არ მომწონს ჩემსა ოჯახში
გამართოთ ყალ-მაყალი!..
არამო, ახლავ ვიკითხავ,
ვნახოთ რას იტყვის თვით ქალი!.
(რუს-გენერალს მკლავში ხელს გაუყრის და გადიან)

არამი (თავს გაადგენს დაცინვით და ჯიბრით)
გაქრეს ჩემი ბიჭობა,
თუ მაჯობოთ წონაზე,—
დადექ რუსო მყვირალა,
ვერ ახტები ზომაზე!..
ქართველის ჭკვაც ავწონე:
ვინ ისა და დავთარი,—

ტკბილსა ეტყვი სიტყვასა,
მოგეყიდოს—ბზათ არი!
თუ გამომყვა ნათელა,
მამული ხომ ჩემია,
უარს მეტყვის, ვაპრობით
მაინც კიდევ ჩემია!.. (გადის)

7

მარიამი და რუს-გენერალი

რუს-გენ. მოსდგეს მარიამს, რომელიც შეწითლებული შემოდის ჩქარი ნაბიჯით.

რუს-გენ. გოგოვ როგორ გამირბი,
თითქო ვიყო ნადირი
მარიამი რა ვქნა, რას გადმეკიდე,
ისე, ვით სოფლის გზირი?!
რუს-გენ. უნდა გითხრა რაღაცა...
(მარიამი შეჩერდება, რუს-გენერალი უდგაშების გრეხით, ენებით დასტქერდება.)
მშვენება ხარ ზეცისა!..
მოახლობა არ გფერობს
შესაფერო მეფისა.
მარიამი რატომ თავს არ მანებებ?
რუს-გენ. ნატიებით ჩასტქერის.
ნდომას მიგზნებ, მიხშირებ..
ოღონდ ერთხელ...მეტს არ გთხოვ..
ალერსსა ნუ მიძვირებ!

რუს-გენერალი მიუტანებს, უნდა მოეხვიოს, მარიამი ცხვირზე თითებს ეუკიბავს და გაუსხლტება.

რუს-გენ. გაშტერებული შესდგება, შერცხვენილი.

8

კნ. სიდონია და ანა

სიდონია (მოუძღვის ქალს)
მზისა და წყაროს ალერსით
ნეტავ როდემდის გაძღები!
ნუ თუ არ მოხკალ გონზედ,
და თვის ფეხზე არ დასდგები?
შვილო, ხომ ხედავ ოჯახი
დღე-დღეზე როგორ გვემხობა!
ნათელა (გორიზად) რას მეკითხები არ ვიცი.
სიდონია არამს სურს შენი თანხმობა.
ნათელა მერე მის მამის და შენი
ტრფიალი, გამიჯნურება,
არ გაგაწითლებს, რო მასთან
ახლა მე ვიწყო ცხოვრება?!
სიდონია ჩემსა წარსულსა, ძველებსა,
ნუ უფათურებ ხელებსა!..
ობოლი დარჩი მამასა,
გაგზარდე ვაით-ვაშითა,
მართალი არის მაშულიც
აგივსე ვალით-ვახშითა,
ზედვე მოგხმარდა: გასწავლე,
გამოგიყვანე ქვეყნადა,—
მაგრე მამა ვერ გაგზდიდა,
ნუ ჩამომართმევ კვეხნადა.
ვინძლო მაგ შენის ურჩობით
შინ არ ჩააქროთ სანთელი,
ბედი გიღიმის, გათხოვდი,
მამულიც შეგრჩეს რო მთელი.
ნათელა ივაჭრეთ მხოლოდ მამულზე,
ჩემი ფული კი ხშულია,
რაც თავი მახსოვს, ალმასხანს
მივეცი მთელად სულია!
სიდონია ალმასხან? ვაჰმე სირცხვილო,
მიჰყვები ღვიტიკელასა,
იმერელს, ისიც გლეხის შვილს,
ხომ ყელს გამოგვჭრი ყველასა.
მერე როგორ გლეხს, როგორსა,
სახლში რო მყავდა ბიჭადა!
ნუ თუ ეს ჰქონდა მას გულში,
ნუ თუ ამისთვის იცადა?!
რა ნახე იმერელშია,
თავადიც დამშეულია,
ცხრა გუდა, ცარელ ტარიელ,
ის ჩვენთვის გარეულია!..
ვაიმე დიდო ოჯახო,
დიდის თავადიშვილისა,
უნდა შეიქმნე ფეხთ მტვერი
ვიღაც შეგაღის შვილისა!
მე მსურს ვათხოვდე არამზე,
ან რუს გენერლის შვილზედა,
რომ ღირსეულსა წინაპარს
მემკვიდრე დარჩეს წილზედა.
თუ ღარს იტყვი, მამული
ხელიდან გაგვიფრინდება,
მაშინ რას ვარგებთ სიცოცხლეს,
ღენი როს მოგვიბინდდება!
ნათელა არც მე მინდა სიცოცხლე,
მარად მობინდულია,—
ვერ გამათბობს მზე-მკრალი
და ჰაერი ხშულია!
მამული თუ გაყიდე,

დაე, შემრჩეს სულია,
ამით მაინც ვსცოცხლობდე
განაწამებ-კრულია!
მისთვის სწუნობ ალმასხანს
რადგან გყავდა ბიჭადა?
ჩემს სიცოცხლეს სიყრმიდან
იგი ჰყავდა მზირადა.
მუდამ ერთად ვიყავით,
ბაღს ვდოდით ხშირადა,
რაოდენი ნამყენი
დამყნო გზათა პირადა,
ჩემსა სევდა-წუხილსა
სცნობდა თავის ჭირადა;
მუდამ იყო საქმეში,
უსაქმურად ძვირადა!..
რა ვუყოთ რომ გლეხია
ჩემი სატრფო ღ[illegible]
მასში ვხედავ სიცოცხლეს,
ნეტარია მზიური.
იგი ხალხის შვილია,
მეც მსურს ხალხმა მიშიღოს,
და ბედნიერ ცხოვრების
კარები მან გამიღოს.
მე რად მინდა მდიდარი,
მხოლოდ ოქრო-ვერცხლითა,
უსულგულო ანგარი?—
დამაჭლექებს სევდითა.
ძუშა გლეხსა ვენაცვლე,
ალალ შრომის შვილია.
მისი მწარე ნაოფლი
სხვისა თაფლზე ტკბილია!

გამოჩნდება ვრამი.

სიდონია აჰა მოგდის, მიჯნური,
ხომ არ გსურვარ მცველადა?

ნათელა მე ვიცი და მაგანა,—
მოვიშორებ ხელადა. ვრამი შემოდის

9

ფინივე და ვრამი

სიდონია ყველა მხოლოდ თვით არის
თავის ბედის მწერალი.
საქმე არ ქმნა უგვანო,
არ შეიქმნე საბრალი!.. გადის.

ვრამი. საქართველოს ნათელი ხარ, მზე-თვალი,
შენგან ჭკვაზე აღარა ვარ სრულადა;
შენს ხელთა ვარ თუ გინდ ახლავ მომკალი,
ნუ მამყოფებ ოღონდ დაჩაგრულადა!
ღღე ერთი მაქვს, ფიქრები კი მრავალი.
შენ გამხდარხარ ჩემი ტანჯვისა წყარო;
შენს ხელთა ვარ, თუ გინდ ახლავ მომკალი
თუ არა გსურს შენს ბალჩაში ვიხარო!

ნათელა შენი სიტყვა და მოთქმანი გულს სჯერა,
მაგრამ ორი სიყვარული არ მჯერა.
გული ჩემი სხვას ვაკუთვნე ერთხელა,—
მას ვერ დავთმობ თუნდ მომადგეთ გარს ყველა!
დასაბამით გულს მიძგერებს ქართველი;
მას ვიკუ ვნი საუკუნოდ თავმთელი.
გულსა ჩემსა ვერ გავიჭრი ორადა,
რო მიყვარდეთ ორივ თანასწორადა.
ისიც კმარა, რაც აქამდე სულს გვხდიდი,
შენგან მხოლოდ ტანჯვამახსოვს მე დიდი.

ვრამი თქვენი სული ჩემს ხელშია ჩაბმული,
დე, ჩაქურმა შემოგძახოთ მაყრული.

ნათელა ვაჭარი ხარ ხელობით და სულიოა,
ჩაიდინე რაც გეწადოს გულითა!

(სიჩქარით გადის)

ვრამი (გაშფოთებული შესტვრის)
გამიფრინდა სიყვარულის ფარვანა,—
და შურს კიდევ ვერ ვიძიებ მე განა?
(მიაძახებს) გავიწყდება, რო მეფე ვარ ფულისა,
მით მოვაჭრე მრავალ სიყვარულისა.
ოქრო ჩემი რო დაიწყებს დნობასა,
ვინ გვიჩვენებს ძალას იმოდნობასა!
გაჰყე, ქალო, შენსა მიჯნურს ცოლადა,
მე გაგიხდი ხასად, ბონის ტოლადა.
(გასძახის) სედრაკწადი ხვალ დაიწყონ ვაჭრობა,
ხვა სომეხი ვერ შევა ჩემს ხათრზედა.
ქართველი ხომ ვაჭრობას ვერ ემხრობა
და მამული დამტაცდება ჩვენზედა!
(სედრაკა გადის. ვრამი ხედის ფშვნეტით)
ვნახოთ ქალო—მზისა თვალო,
ვინ იქნება სავალალო!

ვრამი და მარიამი

(მარიამი გამოირბენს, ვრამი შეეხეჩება)

ვრამი ოჰ, გოგონავ, ქალბატონის ერთგულო!
რა იქნება კოცნა გამიერთგულო!

მარიამი ნამაღვეი დაცინვით.
თქვენ მდიდარი, მე ღარიბი მსახური,
ვით გვექნება ჩვენ საერთო სადგური!

ვრამი (ყინა ადგრეული)
მაჩუქევი მხოლოდ ერთი მე ღამე...
ოქრო-ვერცხლით გაგამდიდრებ, იწამე!
(მიიხედმოისედავს, უნდა მოეხვიოს, მკლავებს შემოაჭკლებს, მარიამი ენას გამოუყოფს და ხელებქვეთ გაუსრიალდება, ვრამის კოცნა ჭაერში გაისმის)

ვრამი (ბრაზით) ოჰ, ეშმაკო, ეშმაკისა ფეხი ხარ,
ქალბატონებრ შენცა ხასად ვარგიხარ!

(ბრაზზ მოდეული სიჩქარით გადის,

ფარდა

(გაგრძელება იქნება) **იოსებ იმადაშვილი**

მეორედ მოსვლა

ლ.ნ. „ თ. ლ.“ 1917 წ. 42-45 1918 წ. 1-2

ჯუარ აბა, ძმაო, ხომ ხედავ შენც, მაგათთან სიცოცხლე ალარ მაქვს. ხან ერთი მოდის, ხან მეორე, ყველანი რაღაცას მპირდებიან, თანაც მიჯავრდებიან.

გაბო რას აკეთებთ ამ ოხერ ქალაქში? წამოგრძანდით ხოფლად, იქ არავინ არ გაწყენინებთ. იქ არ გეყოლებით ჩვენა? წავიდეთ ბატონო, წავიდეთ, სოფელს რა სჯობიან ეხლა. აი მეც ვაპირებ წასვლას

ჯუარ შენ პირს შაქარი. ადრე გეთქვა მაინც! ბიჭო ალექსი!

ალექ რას მ-ბრძანეფ ბატონო?

ჯუარ წადი ჩემი ბარგი-ბარხანა მოამზადე, სოფელში გადავწყვიტე წასვლა.

ალექ ადრეეე გეთქვა დალოცვილო, არ ჯობდა განა?

ჯუარ ჩქარა, ნუ მაგვიანებ. (ალექსა მიდის) შენ უყურე, გაბო, თუ ძველი მთავრობა დაბრუნდა, ყველაზე მეტი მე მომხვდება. ამ ათი წლის წინად ახსოვს რევოლიუკია რომ იყო ჩვენი მიტრას ბიჭი რომ დახვრიტეს? აბა ის რა რევოლიუციონერი იყო შენი ჭირიმე პრაპაგანდისტები ალამლა და მარტო იმისთვის დახვრიტეს, და მე რამდენ ჰარტიაში ჩამწერეს. ვინ არა ვარ ეხლა: ნაცრას-დემოკრატიო, თებერვალისტიო, ოციალიო, რა ვიცი, მაშინ მაშინ ხომ ეხუთჯერ უნდა ჩამომკიდონ სახრჩობელაზედ. ღმერთმა ნუ ქნას, ის ოხერი დაბრუნდეს. ალექსას შემოაქვს ბარგი.

ჯარეჯ შემოდის ქა! ტავარიშჩ ლოარსაბ, სად მიბრძანდებით, არ შეიძლება გაიგოთ?

ჯუარ მერე გაიგებ, ბივში კნეინა დარეჯან! შენ ხომ არ მიმყევხარ. დარჩი და მე წავალ მარტოკა.

ჯარეჯ ქა! მე რომ მტოვეფ, ფული არ მინდა? ცოლშვილს რომ მოეკიდე, რას ჰფიქრობდი?

ჯუარ ათი, თუმანი! სხვა რა ჩემი ფეხები გინდა? მომშორდი რაღა. გაიტა ბიჭო ბარგი. მატარეგელზე არ ლავგვიანდეთ. თუ მოგშივდა დმრეჯაი, სოფელში იკადრე ჩამოსვლა.

ჯარეჯ აი შე კონტრა-რევოლიცენირო. თუმანს რო მაძლევ, მე თითო თუმანს ვწირავ საზოგადოებას. დამიტოვე შეტი.

ჯუარ დარეჯან! შენ ნუღა მისიეფ ბუღს შვილეაი ხომ აქა გყავს და გიპატრონონ. თორემ თუ არ მომშორდები, ამ ხანჯალს ხომ უყურეფ. მე ეხლა ბოლშევიკი ვარ.

ჯარეჯ უი, მოგიკვდეს თავი ჰა? მეხი კი დაგაყარე. მიკადე სანამ სოფელში მოგივიდე! იფ! ქ ლაქში არა სჯობიან, შენისთანა ბებრუცუნასთან ყოფნა, მიდის

ჯუარ პანაშვიდი არ გადვიხადო შენმამზემ დარდი მომკლავს!

ალნქ ბატონო, ვიღაც ფაფარიანია და ისეთი მვუზერი ჰკიდია, დაშნაკ ცუტუნი ვარო, შემოსვლა უნდა.

ჯუარ დაკ რგე იქით, ეგ ცუტუნა ვიღაცა!

გაბო ერ ჰა ეგენიღა გვაკლდნენ! თავის ხალხს რა ხეირი დააყარეს, რომ ჩვენ გვეჩიჩინებიან. დაიკარგე-თქო!

ალექ მაგნაირი ქართინაურები რომ უთხრა ხომ მთხლიშა მაუზერი...

ჯუარ შენ გეუბნევიან უთხარიო, თორემ ის ცუტუნი ვიღაცა, ამ ხანჯალს დავსცემ მუცელში.

შემოდიან მენშევიკი, ბოდშევიკი, ნაციონალ დემოკრატი, და ფედერალისტა.

ეეე

სხვები თავ თავისკენ მიათრევენ დუარსებს. არც ჩვენ გაუშვებთ!!

ბადეს უეცრის დანარჩენებს. გაუშვით თქვენ ყველანი ბურჟუები ხართ.

ეკონ თქვენკი შავ-რაზმელებზე უარესნი ხართ, ერთი ხმა რისთვის დავკარგოთ, რას გაუშვებ! სწევს თავისკენ.

ნატ-დეს ხე ი მამულიშვილს! იგი ჩვენია.

დუარ ვაიმე მიშველეთ, გამხლიჩეს შუაზე, გაბო, ბიჭო ალექსი. . კაბო და ალექსა ფუსტაბში დასვლებენ ხელს და კარებისკენ წევენ. სხვები კი თავ-თავისკენ დუარსები შეუბრალებლად უეცრის.

ალექ არც ეხლა გაუშვებთ, ანარქისტია იგი, ანარქისტი!

ეგვალანი სცემეთ მაგ მატყუარა!! კაბო და ალექსი როგორც იქნა გამოგდეკენ დუარსებს და კარბიან. პარტიის ხალხს კი დასეული ჩანს და ქუდი რჩებათ და ერთმანეთში დიდი ჩხუბი მოსდით.

ფარდა

სვ. ფერეთელი

შ ა რ ა დ ა

ქორონიკონით დასწერეთ
ჯერ ხუთი, მერე ცხრაასი,—
თუ იცით, არ დაგეჭირდებათ
აქ ბევრი სჯა და ბაასი

შემდეგ გვეჭირდება ხსენება
მეხუთე თვის სახელისა,—
ხუთ ანბანისგან შემდგარი,
ვარდ-ყვავილების მშლელისა;

თავიდგან ამის ორ ანბანს
თუ გვითავაზებთ ნებითა,
თქვენს გულ უხვობას სუყველგან
მოვიხსენიებ ქებითა.

კიდევ ერთნაირ წყლის ცხოველის
ვენ მოგვინდება ხსენება,
რო მის მჭამელი ბევრია,
ეს ყველას მოეხსენება.

შუა გასწერით, პირველი
შარადის ბოლო ძირია
მით გამოგვივა ისეთი
ჩვენში ცნობილი პირია

ვინც თვის მგესლავ ენითა
კბენს და მათრახს სცემს ყველასა;
და თუ კი წუნი უპოვნა,
რავის აძლევს შველასა.

ბ

ვ. ეოფეანი

ზაქარია ხახუტის ძე ნეფარიძე

ზაქარია ნეფარიძე ერთი იმ ჩუმ პატიოსან ქველმოქმედთაგანია, რომელიც ჰყოფს საქმესა კეთილსა ისე, რომ „მარჯვენამან მისმან არ იცის რასა იქმს მარცხენა შვილი, შორაპნის მაზრის სოფ. შუქრუთისა მიწის მუშისა ხახუტა ნეფარიძისა, ზაქარია ყმაწვილობითვე აღზრდილი მიწის მუშის მძიმე უღლის ქვეშ, მთლად გაიჟღინთა თვის ტვირთ მძიმე თანამოძმეთა სიყვარულით და ამ ჟამად თვის პატარა სამშობლო სოფელ შუქრუთს მიუწყო თავისი ,,ტალანტის'' ნაყოფი და არ ჩამალა ეს ,,ტალანტი'' მიწაში სახარების უძღებ მონის მსგავსად ქ. შ. წ, კ. საზთგადოების მთავარ გამგეობას გადასცა 1500 მან. ს. შუქრუთში სახალხო წიგნთ - საცავ - სამ კითხველოს დასაარსებლად; გარდა ამისა 1000მან. აღუთქვა სკოლის პირველ საძირკვლის ჩაყრისათანავე.

ზაქარია კარგა ხანია რაც თბილისში გადმოსახლდა, და ჩვენი საზოგადოებრივ მაჯის ცემასაც დიდ ყურადღებას აქცევს. სხვათა შორის გამოეხმაურა მუსიკალურ დარგის ჩუმ მოღვაწეს დავით კუპაიძეს, რომელსაც მრავალი გამოსაცემი მასალა აქვს საეკლესიო და საეროვნო საგალობლებისა ხალხში შეკრებილი და საკმაო თანხა გადასდო ამ მუსიკალურ ნომრების გამოსაცემად მგალობელთა გუნდისათვის. ნეფარიძე ამ ჟამად 60 წლამდეა მიღწეული, მხნედ გრძნობს თავს, მზადაა თვისი ძალღონე და სარჩო-საბადებელი ჩვენს საზოგადო დაწესებულებათა გაფურჩქვნას მოახმაროს.

დ. ბ.

ნინოობა თელავში

ნინოობა ქალთა დღესასწაულია, და თუ მას წინეთ ეროვნული სარჩული ედებოდა, ეს უმთავრესად ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობით აიხსნებოდა, როგორც გარუსებულ სკოლას ისე უფლება აყრილ ეკლესიაე ერ გვარი საბუთი ეძლეოდათ ეროვნულ დღედ გამოეცხადებინათ 14 იანვარი. ეხლა ამ დღემ დაჰკარგა ამ მხრივ თავისი მნიშვნელობა, ვაგრამ ეს-კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ როგორც 14 იანვარი, ისე 1 მაისი ამოირიცხოს ქართველ ერის ისტორიიდან, პირიქით თავისუფალმა საქართველომ უფრო დიდებულათ უნდა მოიგონოს თავისი წარსული და ასევე სცეს პატივე მათ მოგონებას.

წინედ ნინოობა თელავში გამოიხატებოდა უმთავრესათ წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის დრესასწაულით როდესაც ქართულ ნაწილს სულ მცირე ადგილი ჰქონდა დათმობილი, რადგანაც მაშინდელი მთავრობა, არა თუ ეროვნულ, არამედ საერთოდ დღია შინაარს სასტიკ კანტროლს ქვეშ ატარებდა, მაგრამ მადლობა ღმერთს მოგვშორდა ძველი მთავრობა და მის მაგიერ ახლად არჩეული საზოგადო და მშობელთა წრის წარმომადგენლები განაგებენ სასწავლებელს და როგორც თავისუფალ სასწავლებელში აღარაფერი დაფრკოლება აღარ უნდა ყოფილიყო...

ჩვენ სულ სხვანაირათ მოველოდდით, რომ საგანგებოთ იქნებოდა ეს დღე ჩატარებული მოსწავლეთა მიერ, მასწავლებელთა მეოხებით და მშობელთა წრი დახმარებით, მაგრამ ამათ სრული უმოქმედობა გამოიჩინეს და არაფრით აღუნიშნავთ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ საღამოთი მოწაფეები პიანინოზე აცეკვავეს...

ისევ ჩვენმა ქართველმა ქალებ"ა, ან როგორც აფიშაში იყო გამოცხადებული, ქალთა საზოგადოებამ (რომელიც არ არსებობს) იდღესასწაულეს ნინოობა, ქალ. საკრებულო დარბაზში საღამოს გამართვით,

საღამოს გამგეთ შრომა და ენერგია არ დეზოგნათ, რომ უკეთესად მოეწყოთ თუმცა უფრო გარეგნობისთვის მიექციათ ყურადღება ფარდაგებით, და ხალიჩებით მშვენივრად მორთული ოთახები და თავდახურული ქართულ კაბებში გამოწყობილი ქალების ტრიალი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

შინაარსი არ შეეფერებოდა გარეგნულ სილამაზეს ცოცხალი სურათი წმ. ნინო და ქართველი ქალები ვერ გავიგეთ რას წარმოადგენდა ეს სურათი, რომ არ დაედგათ და არ შეეწუხებინათ არც ნინო და არც ქართველი ქალი, ბეჯრათ უკვოესი იქნებოდა. სიამოვნების მაგიერ მწარ-ნაღველი გამოიწვია. მერე დადგეს ცოცხალი სურათებიც ,,ღალატი'' სულეიმანი და რუქაია და ზეინაბი მონოლოგებით. როცა დეკორაცია, ტანისამოსი და გრიმი ხელს არ უწყობთ, არც უნდა მოეკიდნათ ასეთ საქმისთვის ხელი, თორემ რუქაიას როლში პირველად სცენაზე ქალის გამოყვანამ და დედობლის მაგიერ სოფლის პატარძლის ტანისამოსში გამოსვლამ ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე..

საღამო გამოაკეთა რ. ერისთავის პიესამ ,,ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწილეს'' მონაწილეობას იღებდნენ საგანგებოთ მოწვეული ჩვენი მსახიობნი ელ. ჩერქეზიშვილი და დ. აწყურელი, ამათ ფართოდ გაშალეს თავიანთი ნიჭი და ხელოვნური შესრულებით ბევრი აცინეს საზოგადოება. აგრეთვე კარგათ შეასრულა თავისი როლი მსახიობ ქალმა ელ რუისპირელმა.

დიერეტისმექტები ბევრი აცინა დამსწრე საზოგაღოება პ. ჟორდანიამ გურული სცენების წაკითხვით.

დასასრულ გაიმართა ცეკვა, მსურველთათვის ვაშამი იყო გამართული. დავიწყებული.

ზუბალაშვილის სახ. სახალხო სახლში კვირას, იანვრის 14 დასდგეს ,, მელანიას ოინები'' პიესა ცოცხლად და მხატვრულად ჩაატარეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. გოცირიძე (პავლე მედროგე), ს. რომანიშვილი (არუწა), გ. ანაშვილი (გრიქუროვი გ. გელიკურაშვილი - პანკესა. კარგები იყვნენ თავდგირიძე - ქიტესა, ჭანკვატაძე - ამადლაძე, მეტრეველი ექიმი კაიშვილი. არა უშავდარა ქ-ნს რომანიშვილდგებუაძის ს — მელანია, მაგრამ რო ცდილიყო უკეთეს ტიპს შეჰქმნიდა. ნეტავი ვიცოდე როდის მოეღება ბოლო ხალხის უთავბოლო ღრიანცელს? ნე—ლი

სოფ. პაიჭეულში(გურია) მდებარეობს ხიდისთავის რაიონში, ხიდისთავზე-სამი ვერსის მოშორებით, მთაგორიანია. ხალხი მოწყურებულია სწავლა-განათლებას. არიან თვით-გაივითარებული იუშები. გვაქს ერთ-კლასიანი სამინ. სკოლა. 1918 წელს, 1 იანვარს სკოლის დარბაზში გაიმართა კრება. კრებამ დაადგინა გახსნას ნ. ჟორ ანიას სახელობაზე წიგნთსაცავ - სამკითხლო. აირჩიეს 5 კაცისაგან შემდგარი გამგეობა: ანნა და თეოფილე ლომთათიძეები, ეკა ლომთათიძისა, იასონ კალანდაძე, ხაზინადრად გ. ლომთათიძე. ვინაიდან სოფელი პატარაა [30 კომლი მოქალაქე] და საქმის დაწყება უხდება არაჩვეულებრივი სიძვირის დროს, ამიტომ გამგეობა მოუწოდებს თანამგრძნობთ ნივთიერ დახმარებისათვის.

კვირას, იანვრის 7, აქაურმა ახალგაზრდა მარქსისტებმა აქ წარმოადგინეს 1 მოქ. ვოდ. ,,ორი მშიერი'', შემდეგ დივერტისმენტი, ცეკვა - სიმღერა. იმღერეს ,, ვაი - ვუის'' ხმაზე საამდროვო კუპლეტები. წესიერება საუცხოვო იყო. შემოსავლის ნახევარი გადასდეს ადგილობრივ სამკითხველოსთვის, ნახევარი ახალგაზრდა მარქსისტთა წრის სასარგებლოდ. დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნები დაშალა ვუსურვებთ წინსვლას. გიორგი

ფარული ამბები

ქართული უნივერსიტეტი გაიღო იანვრის 26. რექტორად მიწვეულია პროფ. პ. მელიქიშვილი, სიბრძნისმეტყველების ფაკულ. დეკანად ივ. ჯავახიშვილი. მათს ბიოგრაფიებს შემდეგ დავბეჭდავთ.

ხეიმი ამიერ-კავკასიისა შეიკრიბა იანვრის 22. თავმჯდომარედ აირჩიეს კარლო ჩხეიძე.

ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის თაოსნობით თებერვლის პირველ რიცხვებში ქართ. კლუბში დაიდგმის ქართული ოპერა კომპ. რ. გოგნიაშვილისა „ქრისტინე" ნ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით. ოპერის ლიბრედო რუსულიდან სთარგმნა ვ. გუნიამ. თებერვლის მიწურულს კავშირი თავის სახსრის გასაძლიერებლად მართავს დიდ ეროვნულ საღამოს. გუნდის რეპეტიციები იმართება ქართ. კლუბის როტონდაში, რომელიც კლუბმა კავშირს დაუთმო გუნდის ხელმძღვანელათ მოწვეული არიან საუკეთესო ლოტბარნი. კავშირის საზოგადო კრება ამ მოკლე ხანში გაიმართება.

საოპერო მსახიობის ინაშვილის ბენეფისმა ქართ კლუბში დიდის ამბით ჩაიარა. მსახიობმა მრავალი საჩუქარი მიიღო.

ცნობილი მსახიობი გ. არადელ-იშხნელი ამ სეზონში პირველად გამოვიდა ქართ კლუბის სცენაზე ონუფრის როლში (დღენი ჩვენი ცხოვრები—სა)

ახალი თვიური კრებული „პრომეთე" იანვრის ნომერი გამოვიდა.

მსახიობთა კავშირი პირველი საღამო გაიმართა იანვრის 25—ს დაესწრო დიდძალი საზოგადოება.

მსახიობი პ. ფრანგიშვილი სამხედრო სამსახურში გაწვეული ავადმყოფობის გამო სამის თვით სამსახურიდან დაითხოვეს სპარსეთიდან.

ხელოვნება სექციის კრება ყოველ პარასკევს იმართება. სექციას მოსდის სხვა და სხვა პროექტები.

ხართიპალში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრემ ქართულ ბატარეას თაოსნობით იანვრის 21 დაიდგა „არსენა" ,,ბარეთი. წრე შეუდგა საკუთარი საოპერო შენობის აგება-მოწყობას. ადგილობრივმა ახალგაზდობამ დაარსა სამკითხველო. შემოწირულება უნდა გაიგზავნოს სამკითხველოს გამგის სახელზე—ხარ თიპალა (თბ. მზ.) თედო გურგენიძეს.

საბურთალოს თეატრში. კვირას იანვრის 28 დილის 10 დანიშნულია ჭოლა ლომთათიძის სახელობის ახალ შენ—საბურთალოს უფასო სამკითხველოს გახსნა. აგრეთვე თეატრის საზოგადოების კრებაა ახალ გამგეობის და სარევიზიო კომისიის ამოსარჩევათ. საქმის მეთაურნი სთხოვენ საზოგადოებას დაესწრონ კრებ

„თეატრი და ცხოვრების" ფონდის სასარგებლოდ მივიღეთ:

ს. ქანთარია 15 მ., ვ. თევდარიანი 2 მ., ვ. თაზიშვილი 3 მ. ნ. სისაურის 1 50 ₾., თ. მჭედლიშვილის 5 მ. ს. ნატრაძის 3 მ. დ. შავშიშვილი 2 მ. რ. თუხარელი 2 მ. კ. პაპოვი 1 მ. გ. ქურთიშვილი 3 მ. გ. დათუაშვილი 2 მ. გ. სამსონიშვილი 2 მ. ვ. ვაშაკიძე 2 მ. გ. სტეპანიანცი 5 მ. ლ. ცხვედიანი 3 მ. ქრისტინოვ 5 მ.

მ ი ი ღ ე ბ ა ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა 1 9 1 8 წ ლ ი ს ა თ ვ ი ს

ვუმარჯოს თავისუფალ სალოვნებას

თავისუფალ საქართველოში!

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვ ს ერთად ერთ სათეატრო, სახელოვნო, სამხატვრო, სამუსიკო, სამწიგნობრო საზოგადოებრივ შინაარსის პროგრესიულ - დემოკრატიულ უპარტიო სურათებიან იუმორისტულ განყოფ. ჟურნალზე

ფელიეტონი მეექვსე გამოცემისა

1 9 1 8 გამოვა იმავე პროგრამით, როგორც გასულ ხუთი წლის განმავლობაში ცნობილ და საუკეთესო თანამშრომელთა მონაწილეობით

ჟურნალი ღირს: წლიურად 1 5 მან, ნახევარ წლით 9 მ. რომლის გარდახდა ნაწილნაწილდაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 10 მ. აპრილის დამლევს 5 მ. დანარჩენიც მარიამობის გასულს.

ხელის მოწერა შეიძლება თბილისში რედაქციაში ლექს ბაღის პირდაპირ, ძველ მეწიგნეთა რიგზე, ხაზინის თავში, ბაზრის ქუჩა სახლი არჯევანიძისა № 20) ფოსტით: Тифлис ред. „ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБА„ Іосифу Имедашвили

შენიშვნა: ჟურნალის გაწერვის მსურველთ ვთხოვთ დროით დაიკვეთონ, რო მისამართების ბეჭდვა მოვას წროთ. ძველმა ხელის მომწერლებმა ძველი მისამართის ნომერი გვაცნობონ.

რედაქტორ გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

ქართული კლუბი

1 კვირის პროგრამმა

კვირა—საღამო წარმოდგენა.
ორშაბათი—ოპერა. მუსიკა
სამშაბათი—საოჯახო საღამო
ოთხშაბ.—სინემოტოგრაფ. სიმებ. ორკ.
ხუთშაბ.—ქართ. წარმოდგენა. მუსიკა
პარასკ.—ოპერა.
შაბ.—საოჯახო საღამო
კვირა რუსული—წარმოდგენა.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი